

# ამაო სიფრთხილე

# La Fille Mal Gardée

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის
ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი
ZAKARIA PALIASHVILI TBILISI STATE OPERA AND BALLET THEATRE

# ამაო სიფრთხილე
# La Fille Mal Gardée

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამაო სიფრთხილე

ბალეტი ორ მოქმედებად

ნ. ანანიაშვილის და ა. ფადეეჩევის ლიბრეტო ჟან დობერვალის მოტივებზე

ფერდინანდ ჰეროლდის და პეტერ ლუდვიგ ჰერტელის მუსიკა

**ნინო ანანიაშვილის და ალექსეი ფადეეჩევის**
**ქორეოგრაფია და დადგმა**

დამდგმელი ქორეოგრაფების ასისტენტები –
**ტატიანა რასტორგუევა, ეკატერინე შავლიაშვილი**

დამდგმელი მხატვარი –
**გიორგი თანდაშვილი**

კოსტუმების მხატვარი –
**ნინო ოჩიაური**

განათების მხატვარი –
**ამირან ანანელი**

მუსიკალური მასალა შეკრიბა და მოამზადა
**გიორგი მშვენიერაძე**

სპექტაკლის წამყვანი რეჟისორი
**ცისია ჩოლოყაშვილი**

პრემიერა თბილისში შედგა 2013 წლის 1 ივნისს

საბალეტო დასის სამხატვრო ხელმძღვანელი – ნინო ანანიაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# LA FILLE MAL GARDÉE

Ballet in two acts

Libretto by Nina Ananiashvili and Alexey Fadeechev based on story by Jean Dauberval

Music by Ferdinand Hérold and Peter Ludwig Hertel

## Choreography and staging by
## NINA ANANIASHVILI and ALEXEY FADEECHEV

Assistants to Staging Choreographers
TATIANA RASTORGUEVA, EKATERINE SHAVLIASHVILI

Staging Designer
GIORGI TANDASHVILI

Costume Designer
NINO OCHIAURI

Lighting Designer
AMIRAN ANANELI

Musical material was collected and prepared by
GIORGI MSHVENIERADZE

Stage manager
TSISIA CHOLOKASHVILI

Premiered in Tbilisi on June 1, 2013

ARTISTIC DIRECTOR OF STATE BALLET OF GEORGIA NINA ANANIASHVILI

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომხიბლავი ქორეოგრაფიული ხუმრობა სახელწოდებით „ამაო სიფრთხილე“ მსოფლიო მუსიკალური კულტურის ისტორიაში შევიდა, როგორც თანამედროვე სცენაზე შემორჩენილი ყველაზე ძველი ბალეტი. პირველად იგი ბორდოში, 1789 წელს, ქორეოგრაფმა ჟან დობერვალმა, ფრანგულ ხალხურ მელოდიებზე შექმნილ კომპოზიციაზე, დადგა. საფრანგეთის დიდი რევოლუციის ეპოქაში შექმნილი ბალეტი ჰყვებოდა არა გალანტურ კავალრებსა და ქალბატონებზე, არა პრინცებსა და ფერიებზე, არა ანტიკური მითების გმირებზე, არამედ ნამდვილ ადამიანებზე – საზოგადოების ყველაზე დაბალი ფენის წარმომადგენლებზე. ბალეტი ზოგმა მომხიბლავ პატარა ამბად აღიქვა, ზოგმა კი მასში ლიბერალური ეპოქის ანარეკლი დაინახა. თუმცა ორივე მხარისთვის, ისევე, როგორც ორასი წელია მსოფლიოს მაყურებლებისთვის, „ამაო სიფრთხილე“ ერთ-ერთი რჩეული და წარმატებული ბალეტი გახდა.

1828 წელს დადგმისთვის ახალი მუსიკა ფრანგმა კომპოზიტორმა ფ. ჰეროლდმა დაწერა. მოგვიანებით, როდესაც მისი პარტიტურა დაკარგულად ითვლებოდა, გერმანელმა კომპოზიტორმა და დირიჟორმა პ. ლ. ჰერტელმა 1864 წელს ბალეტისთვის ახალი მუსიკა დაწერა. ცხოვრებისეულმა სიუჟეტმა და ჯადოსნურმა მუსიკამ ბალეტის გრძელი სასცენო ცხოვრება განაპირობა. მას დგამდნენ ყველაზე სახელოვანი ქორეოგრაფები და ბალეტმაისტერები: შ. დიდლო, პ. გალიონი, ი. ნიკიტინი, მ. პეტიპა, ა. გორსკი, ა. მესერერი, ლ. ლავროვსკი, ფ. ეშტონი, ა. ალონსო.

„ამაო სიფრთხილე“ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე პირველად 1907 წელს პეტერბურგის საიმპერატორო ბალეტის საგასტროლო ჯგუფმა წარმოადგინა. 1940-იან წლებში ბალეტი თეატრის სცენაზე პირველად დადგა ე. დემეტრაშმა. 1986 წელს „ამაო სიფრთხილის“ დადგმა ზ. კიკალეიშვილმა განახორციელა. 2005 წელს თეატრმა, ინგლისის სამეფო ბალეტიდან, „ამაო სიფრთხილის“ ფრედერიკ ეშტონისეული რედაქციის დადგმის უფლება მიიღო. ბალეტი თბილისში ალექსანდრ გრანტმა და ემილიო მარტინსმა დადგეს. „ამაო სიფრთხილის“ ახალი რედაქცია თბილისში 2013 წელს ნინო ანანიაშვილის და ალექსეი ფადეეჩევის მიერ დაიდგა.

A charming choreographic piece of humor called La fille mal gardée has become part of the world's musical culture history as the oldest ballet preserved on today's stages. The work was initially staged in 1789 in Bordeaux by choreographer Jean Dauberval on a composition of French folk melodies. Created in times of the great French Revolution, the ballet told a story not about gallant cavaliers and ladies, princesses and fairies, or characters of antique myths, but real people and those from the lowest layer of society – poor and well-off peasants, millers and money-lenders. The ballet was perceived as a nice little story by some and as a sign of liberal times by others. But for all of them – and audiences around the world for the last two hundred years – La fille mal gardée became one of the most favorite and successful ballets.

French composer Ferdinand Hérold wrote a new score for the 1828 staging. Later, when his score was considered lost, German composer and conductor Peter Ludwig Hertel wrote new music in 1864. The lively plot and magical music determined the long stage life for the ballet. It was a recurring source for works by some of the most famous choreographers and ballet masters Charles Didelot, Marius Petipa, Alexander Gorsky, Asaf Messerer, Leonid Lavrovsky, Frederick Ashton, Alicia Alonso.

La fille mal gardée was first presented on the Tbilisi Opera and Ballet Theatre stage in 1907 by the St. Petersburg Imperial Ballet Touring Group. The ballet was staged on the Tbilisi theatre stage for the first time in 1940s by Elena Demetrash and then in 1986 by Zurab Kikaleishvili. Nina Ananiashvili obtained rights for staging the Frederick Ashton version from the Royal Ballet in 2005, with the staging carried out in Tbilisi by Alexander Grant and Emilio Martins. The new version of the ballet was staged in 2013 by Nina Ananiashvili and Alexey Fadeechev.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნინო ანანიაშვილი

*დამდგმელი ქორეოგრაფი*

მსოფლიო საბალეტო ხელოვნების ვარსკვლავი, პრიმა-ბალერინა ნინო ანანიაშვილი დაიბადა თბილისში. ათი წლის ასაკში იგი ვ. ჭაბუკიანის სახელობის ქორეოგრაფიულ სასწავლებელში მიიყვანეს, შემდეგ კი სწავლა ქ. მოსკოვის ქორეოგრაფიულ სასწავლებელში განაგრძო გამოჩენილი პედაგოგის ნ. ზოლოტოვას ხელმძღვანელობით.

1981 წ.-დან ნ.ანანიაშვილი მოსკოვის დიდი თეატრის ბალერინა, 1985-2004 წ.წ. კი პრიმა-ბალერინა იყო. ნ. ანანიაშვილმა დიდი თეატრის სცენაზე, ლეგენდარული რუსი მოცეკვავის რაისა სტრუჩკოვას ხელმძღვანელობით, მოამზადა და შეასრულა მთავარი პარტიები ყველა კლასიკურ ბალეტში.

ნ. ანანიაშვილი მსოფლიოში ერთადერთი ბალერინაა, რომელიც ფლობს ოთხ უმაღლეს საერთაშორისო საბალეტო ჯილდოს: ვარნის (ბულგარეთი) X საერთაშორისო კონკურსის ოქროს მედალს, მოსკოვის IV საერთაშორისო კონკურსის გრან-პრის, მოსკოვის V საერთაშორისო კონკურსის ოქროს მედალს, ჯექსონის (აშშ) III საერთაშორისო კონკურსის გრან-პრის. 1988 წ.-დან ნ. ანანიაშვილი გამოსვლებს იწყებს მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟულ სცენებზე. ის იყო პირველი ბალერინა ყოფილი სსრკ-დან, რომელიც მიიწვიეს ბალანჩინის თეატრში – „ნიუ იორკ სითი ბალეში“. იგი ასევე გამოდიოდა ინგლისის სამეფო ბალეტში (კოვენტ-გარდენი), დანიის სამეფო თეატრში. 1993-2009 წ.წ. ნ.ანანიაშვილი ამერიკის ბალეტის თეატრის (ABT) მიწვეული პრიმა-ბალერინა იყო. იგი შვედეთის, ნორვეგიის, პორტუგალიის, ფინეთის, ბავარიის, მონტე-კარლოს, ბირმინგემის, ბოსტონის, ტოკიოს და სხვა საბალეტო სცენების ხშირი სტუმარია. არის საქართველოსა და რუსეთის სახალხო არტისტი, ზურაბ ანჯაფარიძისა და რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენის კავალერი. ნინო ანანიაშვილი პირველი ბალერინაა, ვისაც ხელოვნების დარგში მიღწევებისათვის რუსეთის ეროვნული პრიზი „ტრიუმფი“ მიენიჭა. 1997 წელს ნ. ანანიაშვილს ამერიკის ბიოგრაფიულმა ინსტიტუტმა მიანიჭა „წლის საუკეთესო ქალბატონის“ წოდება.

1999 წლის დეკემბერში ნ. ანანიაშვილს გადაეცა საფრანგეთის მეფეთა შტოს მემკვიდრის – პრინცესა მარია დე ბურბონის მიერ დაწესებული საერთაშორისო პრემია „ოქროს ქალღმერთი“. 2002 წელს ნ. ანანიაშვილი დასახელდა ჟურნალ Dance Magazine-ის პრიზის მფლობელად.

2004 წლის სექტემბრიდან ნ. ანანიაშვილი ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასის სამხატვრო ხელმძღვანელია. ალექსეი ფადეეჩევთან ერთად, მან თბილისში დადგა ლ. მინკუსის „დონ კიხოტი“ და ა. გლაზუნოვის „რაიმონდას“ მესამე მოქმედება. 2012 წ. ნ. ანანიაშვილი მიწვეული იქნა პორტუგალიასა და ჩინეთში, სადაც პეკინის ცეკვის აკადემიაში დადგა პ. ჩაიკოვსკის „მაკნატუნას“ სიუიტა, ხოლო ლისაბონის საბალეტო სკოლაში ლ. მინკუსის „დონ კიხოტის“ სიუიტა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## NINA ANANIASHVILI

*Staging Choreographer*

A star of the world ballet art, prima ballerina Nina Ananiashvili was born in Tbilisi, Georgia. She joined the Vakhtang Chabukiani Choreographic School at the age of ten, later moving to the Moscow Choreographic School under the tutorship of famous teacher Natalia Zolotova.

Ananiashvili was soloist of the Moscow Bolshoi Theatre from 1981 and prima ballerina at the company from 1985-2004. Under the tutorship of legendary dancer Raisa Struchkova she prepared and performed principal roles for all classical ballets.

Ananiashvili is the only ballerina awarded with the four most prestigious ballet prizes: Gold Medal of the X International Contest in Varna, Bulgaria in 1980; Grand Prix of the IV International Contest in Moscow, Russia in 1981; Gold Medal of the V International Contest in Moscow in 1985; Grand Prix at the Jackson III International Contest in the U.S in 1986. Ananiashvili began performing on the most prestigious stages around the world in 1988. She was the first ballerina from the former Soviet Union to be invited by the New York City Ballet – the theatre associated with the name of George Balanchine. She also performed for the Royal Ballet of England and Royal Danish Theatre. From 1993-2009 she was principal dancer of the American Ballet Theatre. A frequent guest of theatres in Sweden, Norway, Portugal, Finland, Germany, Monte Carlo, Birmingham, Boston and Tokyo, she has been awarded the title of The People's Artist in Georgia and Russia and named laureate of the Zurab Anjaparidze and Rustaveli Georgian state prizes as well as the Presidential Order of Excellence by the President of Georgia. Ananiashvili is the first ballerina awarded the Russian national prize Triumph for the achievements in the field of art. She was also named Lady of the Year title by the American Biographical Institute in 1997.

The International Golden Goddess prize, set by Marie de Bourbon, representative of the royal family of France, was handed to Ananiashvili in 1999. In 2002 she was awarded the most prestigious annual U.S. dance award by Dance Magazine.

Since 2004 Nina Ananiashvili has been Artistic Director of State Ballet of Georgia. In collaboration with Alexey Fadeechev, she staged Don Quixote by Ludwig Minkus in Tbilisi in 2005. Ananiashvili also staged Raymonda Act Three in Tbilisi alongside Fadeechev, while in 2012 she was invited to Portugal and China, staging The Nutcracker Suite in the Beijing Dance Academy and the Don Quixote Suite by Ludwig Minkus in the Lisbon Ballet School.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ალექსეი ფადეეჩევი

*დამდგმელი ქორეოგრაფი*

ალექსეი ფადეეჩევი დაიბადა ქ. მოსკოვში. 1978 წელს მან დაამთავრა მოსკოვის ქორეოგრაფიული სასწავლებელი (ალ. პროკოფიევის კლასი) და იმავე წელს დაიწყო ცეკვა მოსკოვის დიდი თეატრის სცენაზე. 1978-1998 წლებში იგი დიდი თეატრის წამყვანი სოლისტი იყო. ა. ფადეეჩევმა დიდ თეატრში მუშაობა საკუთარი მამის – არაჩვეულებრივი მოცეკვავის, გალინა ულანოვასა და მაია პლისეცკაიას მუდმივი პარტნიორის – ნიკოლოზ ფადეეჩევის ხელმძღვანელობით დაიწყო. მასთან ერთად ალექსეიმ კლასიკური ბალეტის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი პარტია მოამზადა. ა.ფადეეჩევი წარმატებით მოღვაწეობდა ინგლისის სამეფო ბალეტში, სადაც მან შეასრულა წამყვანი პარტიები „პაგოდების პრინცსა“ და „რომეო და ჯულიეტაში“ (კ. მაკმილანის ქორეოგრაფია), პრინცი პ. რაიტის „მაკნატუნაში“. იგი აგრეთვე გამოდიოდა მარიას თეატრში, დანიის, შვედეთის, ნიდერლანდების, ფინეთის, პორტუგალიის, ბირმინგემის, ბოსტონის, ტოკიოსა და სხვა თეატრების სცენებზე.

1998-2000 წლებში ალექსეი ფადეეჩევი მოსკოვის დიდი თეატრის ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელი იყო. ამ პერიოდში დიდი თეატრის სცენაზე პირველად დაიდგა ბალანჩინის ბალეტები: „სიმფონია დო მაჟორი“, „აგონი“ და „მოცარტიანა“. ფრანგმა ქორეოგრაფმა პიერ ლაკოტიმ კი დადგა კლასიკური საბალეტო მემკვიდრეობის ერთ-ერთი შესანიშნავი ნიმუში „ფარაონის ასული“. მისი ხელმძღვანელობის პერიოდში მოსკოვის დიდი თეატრის ბალეტი  ორჯერ დაჯილდოვდა ნაციონალური პრემიით „ოქროს ნიღაბი“, ხოლო 1999 წელს ლონდონში, თეატრის გასტროლის დროს, ა. ფადეეჩევის რედაქციით დადგმული „დონ კიხოტი“ წლის საუკეთესო სპექტაკლად იქნა აღიარებული. 2004-2013 წლებში ა. ფადეეჩევი როსტოვის მუსიკალური თეატრის საბალეტო დასს ხელმძღვანელობდა. 2012 წლიდან იგი არის ყოველწლიური საბალეტო ფესტივალის „რუსული ბალეტის ვარსკვლავების“ მხატვრული ხელმძღვანელი (ლახტი, ფინეთი). თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში მან დადგა „დონ კიხოტი“, „გედების ტბა“,  „ჟიზელი“, „მაკნატუნა“ და „რაიმონდას“ მესამე მოქმედება. 2013 წელს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრისა და ნეაპოლის სან-კარლოს თეატრების თანამშრომლობის შედეგად ა. ფადეეჩევმა ნეაპოლში დადგა ლ. მინკუსის „დონ კიხოტი“.  ალექსეი ფადეეჩევი რუსეთის სახალხო არტისტია (1995 წ.).



## ALEXEY FADEECHEV

*Staging Choreographer*

Alexey Fadeechev was born in Moscow. He graduated from Moscow Choreographic School under the direction of Alexander Prokofiev in 1978 and joined the Moscow Bolshoi Theatre ballet company, performing as principal dancer from 1978-1998. Alexey Fadeechev was coached during his initial career at the Bolshoi by his father Nikolai Fadeechev, the legendary artist and regular partner of famous ballerinas Galina Ulanova and Maya Plisetskaya. Alexey Fadeechev danced almost all significant roles of the classical repertory while working with his father. He was also successful at the Royal Ballet, performing principal roles in The Prince of the Pagodas and Romeo and Juliet by Kenneth MacMillan, as well as The Prince in The Nutcracker by Peter Wright. Fadeechev also performed at the Mariinsky Theatre and on theatre stages in Denmark, Sweden, the Netherlands, Finland, Portugal, Birmingham, Boston and Tokyo.

From 1998-2000 Alexey Fadeechev worked as the Artistic Director of Moscow Bolshoi Theatre company. The period saw first-time Bolshoi stagings of Symphony in C, Agon and Mozartiana by George Balanchine, while French choreographer Pierre Lacotte staged The Pharaoh's Daughter, one of the remarkable examples of the classical choreography. Under his directorship the Bolshoi Ballet was twice awarded the "Golden Mask" national prize. The Don Quixote redaction byAlexey Fadeechev – presented in London, UK in 1999 during the theatre tour – was named the show of the year. From 2004-2013 Alexey Fadeechev worked as the Artistic Director of Rostov Musical Theatre ballet company. Alexey Fadeechev has been the Artistic Director of the annual ballet festival "Stars of the Russian Ballet" – organized in Lahti, Finland – since 2012. He also staged Don Quixote, Swan Lake, Giselle, The Nutcracker and Raymonda Act Three for State Ballet of Georgia, as well as Don Quixote by Ludwig Minkus in Naples in 2013 in a collaboration of Tbilisi Opera and Ballet Theatre and Royal Theatre of Saint Charles of Naples. Alexey Fadeechev was awarded the title of The People's Artist of Russia in 1995.

## პირველი მოქმედება

### პირველი სურათი

სამხრეთ საფრანგეთის სოფელ ობერჟინის მცხოვრებლები დილაადრიან სათიბად მიდიან, მათ შორის არის კოლენიც. იგი შეყვარებულია ლიზაზე, რომელიც შეძლებული ქვრივის — მარცელინას შვილია. მარცელინა ხელს უშლის მათ სიყვარულს და სურს ლიზა მიათხოვოს მდიდარი მევახშის — მიშოს სულელ ვაჟს — ნიკეზს.

ახლადგაღვიძებული ლიზა ეზოში გადის და თავის შეყვარებულ კოლენს ეძებს, რომელიც უკვე მინდორშია წასული სამუშაოდ. მოწყენილ ლიზას ეზოში გამოჰყავს ცხენი, გოჭები, ქათმები და მათთან ერთად თამაშობს. ხმაურზე გაღვიძებული და გაბრაზებული მარცელინა ცხოველებს ეზოდან ყრის, ხოლო ლიზას კარაქის მომზადებას ავალებს. დაღონებული ლიზა მუშაობას იწყებს. ამ დროს შემოდიან კოლენი და მისი მეგობრები. იწყება საერთო მხიარულება. უეცრად სახლიდან გამოდის მარცელინა და არამკითხე სტუმრებს ეზოდან აგდებს, ხოლო ლიზა ძალით შეყავს სახლში.

მდიდარ მიშოს თავისი სულელი ვაჟი ნიკეზი მარცელინასთან ლიზას ხელის სათხოვნელად მოჰყავს. ნიკეზი ჩაკეტილი ჭიშკრის ზემოდან ძვრება და იმდენად ერთობა ცხოველებთან თამაშით, რომ ავიწყდება აქ მოსვლის მიზეზი. უყურადღებოდ დატოვებული მიშო ეჯახება მოულოდნელად სახლიდან გამოსულ, გაოგნებულ მარცელინას. ლიზას პროტესტის მიუხედავად მიშო და მარცელინა ახალგაზრდების დაქორწინებას გადაწყვეტენ. ამ დროს ეზოში შემოდიან სოფლის მცხოვრებლები და ყველას ეპატიჟებიან მინდორში — მოსავლის აღების ზეიმზე.

### მეორე სურათი

გლეხები მოსავლის აღებას ზეიმობენ. მარცელინა და მიშო ლიზასა და კოლენის დაქორწინებას ჩქარობენ. გარშემომყოფნი უკმაყოფილონი არიან, თუმცა მშობლები მათ ყურადღებას არ აქცევენ. ლიზა და ნიკეზი ცეკვას იწყებენ. ამ დროს კოლენი მეგობარ გოგონებს ნიკეზის მოტყუებას ავალებს, თვითონ კი მის ადგილს იკავებს. მარცელინა მათ აშორებს. ლიზა ხელიდან უსხლტება მარცელინას და ცეკვას

ეროვნული ბიბლიოთეკა

სთხოვს. მარცელინა ყოყმანობს, თუმცა თხოვნას თანხმდება. მოულოდნელად ამოვარდება ქარი, ისმის ქუხილი, წამოვა წვიმა. ყველანი იმალებიან. სულელი ნიკეზი ველზე დარბის, მოვარდნილი ქარი მას ჰაერში აიტაცებს. როგორც იქნა, ლიზა და კოლენი ერთად არიან, თუმცა მარცელინა აქაც ჩნდება.

## მეორე მოქმედება

### მესამე სურათი

წვიმისგან დასველებული მარცელინა და ლიზა ოთახში შემოდიან და ქსოვას იწყებენ. ამ დროს ფანჯარაში კოლენი გამოჩდება. ლიზა ცდილობს, რომ დედამ კოლენი ვერ შეამჩნიოს და ცეკვას იწყებს. შემოდიან მეგობრები და ოთახში თივის კონებს აწყობენ. ისინი ლიზას ბაზარში წასასვლელად ეპატიჟებიან. მარცელინა არ უშვებს ლიზას და ოთახში გამოამწყვდევს. განაწყენებული ლიზა მარტო რჩება, ოცნებობს თავის ოჯახზე და შვილებზე. მოულოდნელად თივის კონებიდან კოლენი გამოჩნდება, რომელიც ოთახში, მეგობრებთან ერთად, შეუმჩნევლად შემოიპარა. ლიზა შეცბუნებულია, რადგან კოლენმა მისი აზრები გაიგო. კოლენი უხსნის, რომ ოთახში  მხოლოდ მისი ნახვის მიზნით შემოიპარა. ლიზა მას პატიობს, ყმაწვილი კი შერიგების ნიშნად ყელსაბამს ჩუქნის. ისმის კარის გაღების ხმა და შეშფოთებული ლიზა კოლენს საკუჭნაოში მალავს. ბაზრიდან დაბრუნებული მარცელინა ლიზას ყელზე გაკეთებულ ახალ ყელსახვევს ამჩნევს, ბრაზდება და დასჯის მიზნით მას იმავე საკუჭნაოში კეტავს.

შემოდიან მიშო, ნიკეზი და ნოტარიუსი, რომლებმაც ლიზასა და ნიკეზს შორის ქორწინების კონტრაქტი უნდა გააფორმოს. მარცელინა სიხარულით ხვდება ლიზას მეგობრებს და საქორწინო კონტრაქტს აჩვენებს. დასჯილი ლიზას გამოსაყვანად მარცელინა ნიკეზს საკუჭნაოს გასაღებს აძლევს. ყველასათვის გასაოცრად საკუჭნაოდან ხელჩაკიდებული ლიზა და კოლენი გამოდიან.

აღშფოთებული მიშო მარცელინას კონტრაქტს გამოსტაცებს, ფეხით გათელავს, ნიკეზს ხელს დაავლებს და სახლს ტოვებს. გულწასული მარცელინა გონს მოდის, ბრაზობს. მეგობრები მას ლიზასა და კოლენის ქორწინებაზე თანხმობას სთხოვენ. მარცელინა იძულებულია დათანხმდეს.

### მეოთხე სურათი

ყველანი ლიზას და კოლენის ქორწილისთვის ემზადებიან. მარცელინა ლამაზ კაბაშია გამოწყობილი. გლეხები და მეგობრები მხიარულად ცეკვავენ.  გამოჩნდებიან  ახალდაქორწინებულები.
სოფელ ობერჟინში ზეიმი იწყება...

ეროვნული
ბიბლიოთეკა



## ACT I

### First picture

Locals of village Aubergin in the South of France are heading to fields in the early morning for mowing, with young fellow Colas – in love with Lise, daughter of wealthy widow Marcelina – with them. Marcelina is in the way of their love and wishes to see Lise marry Nikez, dimwitted son of money-lender Michaud.

Newly awakened Lise walks out in garden and is looking for Colas, but the latter has already left to the field. Frustrated Lise goes to work, letting pigs, chicken and a horse out to the yard. The animals begin to play, and their noise wakes Marcelina, who forces the cattle away and sends Lise to make butter. The girl begins her work in a sad mood, but soon her friends and Colas arrive. The group is having fun, but Marcelina appears unexpectedly. She tells the unwanted visitors away, taking Lise into the house with force.

Wealthy Michaud and his son Nikez are visiting Marcelina for asking for Lise's hand. Nikez climbs over the locked gate and begins playing with animals, soon forgetting the reason of his arrival. Michaud – left unattended – collides with Marcelina, who is shocked. Despite Lise's protests, the parents join the young couple's hands to mark their engagement. At this moment villagers arrive in the yard and invite everyone to a celebration of harvest.

### Second picture

Peasants celebrate harvest. Marcelina and Michaud are in a hurry to announce the marriage. The people around them are unhappy with the hurried attempt, but the parents pay no attention. Lise and Nikez begin to dance together. Colas asks his female friends to draw Nikez out and takes his place. Marcelina notices this and tries to separate the couple. She forces Colas away and wants to take Lise home, but her daughter slips from her hands and asks Marcelina to dance. The mother agrees after hesitation, but suddenly strong winds and thunder arrive. Everyone takes shelter, but silly Nikez, running in an open field, is taken by the wind. Lise and Colas are finally together, but Marcelina appears again and stands in between them.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ACT TWO

### third picture

Lise and Marcelina – soaked after the rain – enter a room of their house and begin to knit. Colas appears in a window. Lise tries to divert Marcelina's attention away from him by dancing. At this moment friends arrive, bringing hays for Marcelina and asking Lise to go with them to market, but Marcelina refuses and locks her daughter away. The disappointed girl is alone and tries to imagine her marriage and family life after having kids. Suddenly Colas appears from the hays he had hidden himself in after sneaking into the house unnoticed. Lise is embarrassed as Colas has noticed the matter of her thoughts. Colas explains he only wanted to see her. The girl excuses him, while Colas presents her with a necklace as a sign of his love. Sound of the door signifies Marcelina's return. Lise hides Colas in a drawer. The returned Marcelina notices the necklace on Lise and locks her in the same drawer as punishment.

Michaud and Nikez arrive alongside a notary who brings marriage contract between Lise and Nikez. The mother happily greets friends who arrive at the scene and shows them the contract, while she gives Nikez the keys to the drawer to bring Lise. Nikez opens the locker and everyone is greeted with a sight of Lise and Colas coming out of the drawer holding hands.

Disgusted Michaud snatches the contract out of Marcelina's hands, stomps it with his feet, takes Nikez by hand and leaves the house. Marcelina recovers after the shock. Friends, Lise and Colas ask her for permission of marriage and all Marcelina is left with is to comply.

### Fourth picture

Everyone is getting ready for Lise and Colas' marriage. Marcelina is wearing a beautiful dress, while peasants and friends merrily dance. The newly wed couple appears.

Celebrations commence in the village of Aubergin.

ეროვნული ბიბლიოთეკა

www.opera.ge

n2/1338
PP 2235
ეროვნული ბიბლიოთეკა

სეზონი 2012/2013 SEASON